რეფლექსია 2022-2023

ისტორიის მასწავლებელი ნათელა მაჭარაშვილი

20022-2023 სასწავლო წელს ვასწავლიდი შემდეგ კლასებს:V[2],VI[2],VII[1],VIII[1-2],IX[1],X[1],XI[1] ,XII[1].სრული საათობრივი დატვირთვა მქონდა 24 საათი.მე-5-მე-6 კლასებში ვასწავლიდი საგანს ,,ჩვენი საქართველო",რომლის ავტორთა ჯგუფი უალტერნატივოა.მე-7-მე-10 კლასებში კი ვხელმძღვანელობდი გამომცემლობა ,,ლოგოს პრესის"სახელმძღვანელოებით(გამონაკლისი იყო მე-10 კლასის პირველი სემესტრი,სადაც გამოვიყენეთ ,,დიოგენეს"გამომცემლობის სახელმძღვანელოები).

მთელი სასწავლო წლის მანძილზე ხელს ვუწყობდი მოსწავლეთა სწავლასა და განვითარებას სტანდარტის შესაბამისად,რაც გამოიხატა ჩემ მიერ საგაკვეთილო პროცესში მრავალფეროვანი ინტერაქტიური აქტივობებისა და მეთოდების გამოყენებაში ,სადაც,ძირითადად, გათვალისწინებული იყო მოსწავლეების სწავლის საჭიროებები, სტილი თუ ინტერესები.ყოველივე ეს განსაკუთრებით დამეხმარა ესგ-ით გათვალისწინებული შედეგის მიღწევაში.ვთვლი, რომ ჩემი ძლიერი მხარე სწორედ ინტერაქტიური საგაკვეთილო პროცესია.

მე-5 კლასში ორი სსსმ მოსწავლე მყავდა.დიფერენცირებული სწავლება და მოდიფიცირებული გეგმა დამეხმარა იმაში, რომ ესგ-ით გათვალისწინებულ ცალკეულ(წინასწარ შერჩეულ) მიმართულებებზე გასვლა მომეხდინა.მათთვის ყველა გაკვეთილზე გამოყოფილი მქონდა წუთები შედეგიანი/პროდუქტიული ინტერაქციისთვის.

ყველა კლასში ვსარგებლობდი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი სასწავლო გეგმით და ვცდილობდი მოსწავლეების მიერ სტანდარტის წარმატებით დაძლევას,განვითარებას,ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.

ჩემ მიერ კლასებში გამოყენებული აქტივობები/მეთოდები განსაკუთრებით დამეხმარა სასწავლო წლის ბოლოს მასალის შეჯამებაში.

ვთვლი, რომ , ძირითადად,ყველა კლასში მივაღწიე ესგ-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

რაც შეეხება შემაჯამებლებს,ყველა შემაჯამებელი იყო კომპლექსური ხასიათის. მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების რუბრიკები და ყველა დავალებას წინმსწრები აქტივობები უძღოდა წინ,რაც კლასს უადვილებდა შემაჯამებელ დავალებაზე მუშაობას.ყურადღებას ვამახილებდი სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე,თითოეული თავის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე.აქვე ყურადღებას ვუთმობდი საკვანძო შეკითხვებს,რომლებიც გამომდინარეობენ შედეგებიდან და სამიზნე ცნებებიდან.ეს ძალიან მნიშვნელოვანია,რადგან იგი განსაზღვრავს, თუ რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე სწავლის პროცესში.ყველა ცნება დამუშავდა ყველა თემის ფარგლებში:მე-5-მე-6 კლასში სივრცე, მეურნეობა,დრო,მრავალფეროვნება,საზოგადოება და სახელმწიფო,საბაზო საფეხურზე-წყარო/ინტერპრეტაცია,დრო,

სივრცე,საზოგადოება, ძალაუფლება, ისტორიული მოვლენა /პროცესი, რაც დამეხმარა შემდეგი მიმართულებების განხორციელებაში-ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა,ისტორიული ეპოქის ანალიზი,ღირებულებები და დამოკიდებულებები.

ანალოგიური სამიზნე ცნებები(საბაზოს იდენტური) დამუშავდა მე-10 კლასში. აქ სიახლე იყო საქართველოს და მსოფლიო ისტორიის ერთმანეთისგან გამიჯვნა.ამ კლასის ფარგლებში მოხდა ქვისა და ბრინჯაოს ხანის,ანტიკური, გვიანანტიკური და ადრეული შუა სუკუნეების პერიოდის შესწავლა მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიის კონტექსტში.

მე-11-მე-12 კლასში დავამუშავეთ შემდეგი მიმართულებები-გარემო და ეკონომიკა, სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა,ადამიანი და საზოგადოება, კულტურა და რელიგია.

მოსწავლეებს ზუსტად ვაცნობდი სასწავლო მიზნებს,რათა ამ მიზნების შესაბამისი შედეგი მიმეღო.ყველა გაკვეთილზე ვააქტიურებდი წინარე ცოდნას,გამოცდილებას,ვუკავშირებდი უკვე ნასწავლ მასალასა და სხვა საგნებს.ვახდენდი სწავლის სტრატეგიების დაუფლებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით,ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას,გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებზე გასვლას და შესაბამისად,ვაწვდიდი დროულ და სასარგებლო უკუკავშირს შესრულებულ დავალებაზე.

რაც შეეხება კომპლექსურ დავალებებს,ვთვლი, რომ ცოდნის კონსტრუირება და კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა ,კომპლექსურების შესაბამისად, საინტერესო და შედეგიანი იყო.ყველა კლასში ჩავატარე კომპლექსურების სავალდებულო რაოდენობა.კომპლექსურები გავიარე ეტაპობრივად ,კონკრეტული ნაბიჯების შესაბამისად,საბოლოო პროდუქტის შექმნამდე.

კომპლექსურებზე მუშაობის პროცესში,ძირითადად, გამოიკვეთა არგუმენტირებულ მსჯელობაზე დაყრდნობით მოვლენების/ფაქტების შეფასების ხარვეზი და ამ მხრივ მუდმივად ვაწყობდი დისკუსიასა თუ დებატებს ცალკეულ თემებთან მიმართებაში.

ვთვლი, რომ სასწავლო წლის მანძილზე ,დინამიკაში, უმჯობესდებოდა მოსწავლეთა მიღწევები/შედეგები.ყველა მეთოდს მივმართავდი, რათა მოსწავლეებს ეჩვენებინათ დამაკმაყოფილებელი შედეგი.ამასთან ერთად,საგაკვეთილო თემატიკის პარალელურად, ვახდენდი თემის კულტურისა და ღირებულებების პატივისცემას.პარალელურად, მშობლებს ვაწვდიდი ინფორმაციას მათი შვილების მიღწევებისა თუ პრობლემების შესახებ.

რაც შეეხება პროფესიულ ზრდას,რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,ამ მიმართულებით მუდმივად ვეცნობოდი თემატურ-მეთოდოლოგიურ ლიტერატურას.ვიყენებდი და ვიყენებ ყველა შესაძლებლობას,როგორც საკუთარი ,ასევე კოლეგების სწავლების გაუმჯობესების მიზნით.ასევე, გავიარე ტრენინგი eTwinning-ის ფარგლებში და შევქმენით კონკრეტული პროდუქტები და ტრენინგის ბოლოს ერთი პროექტი.

ჩავატარე სამოდელო გაკვეთილი, სადაც დირექციის წარმომადგენელთან ერთად მესწრებოდა კოლეგა სხვა კათედრიდან.

ვთვლი, რომ არ დამიკარგავს საგაკვეთილო დროის არცერთი წუთი, რომ იგი გამოყენებული არ ყოფილიყო სწავლა-სწავლების პროცესისთვის.

საბოლოოდ, ჩემი ძლიერი მხარეა ინტერაქტიური საგაკვეთილო პროცესი.სუსტ მხარედ მივიჩნევ არაფორმალურ გარემოში აქტივობების განხორციელებას.შესაძლებლობა სუსტი მხარის დასაძლევად ,ვთვლი,რომ პროექტული სწავლებაა.ამ მიმართულებით სამომავლოდ აუცილებლად გავამახვილებ ყურადღებას.